ტექნიკური დავალება

ექსპერტი საქართველოში ზრდასრულთა განათლების ცენტრებისთვის ეროვნულ დონეზე არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

DVV International წარმოადგენს გერმანიის ზრდასრულთა განათლების ასოციაციის (Deutscher Volkshochschul-Verband e.V. – DVV) საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტს. DVV წარმოადგენს გერმანიაში მოქმედი ზრდასრულთა განათლების დაახლოებით 850 ცენტრის (Volkshochschulen – VHS) და მათი რეგიონული ასოციაციების ინტერესებს. ეს ცენტრები ქვეყანაში უწყვეტი განათლების უმსხვილეს მიმწოდებლებს წარმოადგენენ.

როგორც ზრდასრულთა სწავლებისა და განათლების (ALE) და განვითარების თანამშრომლობის სფეროში მოქმედი წამყვანი პროფესიული ორგანიზაცია, DVV International-ის მისიაა, ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უფლების რეალიზებას მსოფლიოს მასშტაბით. ორგანიზაცია 50 წელზე მეტია ახორციელებს განვითარების თანამშრომლობის პროგრამებს აფრიკაში, აზიაში, ლათინურ ამერიკასა და ევროპაში. DVV International აძლიერებს პარტნიორ ქვეყნებში ზრდასრულთა სწავლებისა და განათლების ეროვნულ სისტემებს და მხარს უჭერს ახალგაზრდებისა და ზრდასრულთა განათლების მდგრადი სტრუქტურების შექმნასა და განვითარებას.

DVV International-ის პროექტების მიდგომა მიზნად ისახავს პოლიტიკის, კანონმდებლობისა და დაფინანსების მიმართულებით პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე ზრდასრულთა სწავლებისა და განათლების პრაქტიკისა და თეორიის პროფესიონალიზაციის ხელშეწყობას. ეს მოითხოვს თანამშრომლობას როგორც სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის სამინისტროებთან, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან და განათლების სხვა მიმწოდებლებთან. პარტნიორების, ძირითადად ზრდასრულთა განათლების ცენტრების, მხარდაჭერით, რათა მათ შეიმუშაონ და გამოსცადონ კონკრეტული სასწავლო შეთავაზებები, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის, ორგანიზაცია ქმნის წარმატებული პრაქტიკის მაგალითებს და მტკიცებულებებს ზრდასრულთა განათლების სარგებლის შესახებ.

DVV International-ის საქართველოს ოფისი 2003 წელს დაარსდა. მისი საქმიანობა საქართველოში არაფორმალური ზრდასრულთა განათლების სისტემის გაძლიერებას ემსახურება და აერთიანებს სექტორის ინსტიტუციურ განვითარებასა და თემების დონეზე უშუალო პროგრამულ საქმიანობას.

DVV International საქართველო მხარს უჭერს ზრდასრულთა სწავლებისა და განათლების (ALE) ცენტრების ჩამოყალიბებას ქვეყნის მასშტაბით. ამჟამად საქართველოს ყველა რეგიონში 15 დამოუკიდებელი ცენტრი ფუნქციონირებს.[1] აღნიშნული ცენტრები უწყვეტი განათლების, სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციისა და აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობას ემსახურებიან პროფესიული სწავლების, უნარების განვითარების, სამოქალაქო განათლებისა და თემზე დაფუძნებული ინიციატივების მეშვეობით.

ცენტრები უზრუნველყოფენ როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების შესაძლებლობებს, მათ შორის მოკლევადიან და გრძელვადიან კურსებს, პროფესიულ სწავლებას, უნარების განვითარებას, სამოქალაქო განათლებასა და სხვადასხვა კულტურულ და ახალგაზრდულ პროგრამას. ამ საქმიანობის საშუალებით ადამიანებს ეძლევათ ახალი ცოდნისა და კომპეტენციების შეძენის, დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების, სათემო ცხოვრებაში მონაწილეობისა და ადგილობრივ განვითარებაში წვლილის შეტანის საშუალება.

ALE ცენტრები პრიორიტეტს ანიჭებენ მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობას, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირების, ქალების, ხანდაზმულების, უმუშევრების, ყოფილი მსჯავრდებულებისა და სხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფების მონაწილეობას. 2006-2025 წლებში ამ ცენტრების მიერ განხორციელებულ საქმიანობაში 280 000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

DVV International საქართველო ასევე მხარს უჭერს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელს (GAEN), რომელიც ხელს უწყობს ეროვნული და ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისი უწყვეტი განათლების სისტემის განვითარებას.

[1] ცენტრები ფუნქციონირებს საქართველოს შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ლაგოდეხი, ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული, მცხეთა, ახალციხე, ახალქალაქი, კასპი, ხარაგაული, ამბროლაური, ხონი, სენაკი, წალენჯიხა, ქედა და ჩოხატაური.

2. დავალების მიზანი

დავალების ძირითადი მიზანია იმ კონკრეტული შესაძლებლობების გამოვლენა და შეფასება, რომელთა მეშვეობითაც საქართველოში მოქმედ ზრდასრულთა სწავლებისა და განათლების (ALE) ცენტრებს შეეძლებათ საჯარო დაფინანსების მიღება, საჯარო დაწესებულებების მიერ დაფინანსებული მომსახურების გაწევა, ინსტიტუციური პარტნიორობის ჩამოყალიბება და შემოსავლისა და მხარდაჭერის წყაროების დივერსიფიკაცია, რაც გაამლიერებს მათ გრძელვადიან ფინანსურ და ინსტიტუციურ მდგრადობას.

დავალება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ არსებული პროგრამებისა და დაფინანსების მექანიზმების იდენტიფიცირებით. მან პრაქტიკული ინფორმაცია უნდა მოგვაწოდოს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ ALE ცენტრებს ამ შესაძლებლობებზე წვდომა და მათი გამოყენება, ცენტრების არსებული საქმიანობის, ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და ახალი სერვისების განვითარების პოტენციალის გათვალისწინებით.

3. სამუშაოს სფერო და ამოცანები

ექსპერტმა უნდა შეასრულოს შემდეგი ამოცანები:

3.1. შესაბამისი საჯარო დაწესებულებებისა და დაფინანსების მექანიზმების იდენტიფიცირება

- გამოავლინოს ეროვნული სამინისტროები, სააგენტოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა საჯარო უწყებები, რომელთა უფლებამოსილებებიც მოიცავს ALE ცენტრების საქმიანობასთან პოტენციურად დაკავშირებულ პროგრამებს ან მექანიზმებს.
- მოახდინოს შესაბამისი შესაძლებლობების ტიპების იდენტიფიცირება, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ: დასაქმებისა და უნარების განვითარების პროგრამები, ტრენინგებისა თუ მომსახურების მიმწოდებლის შესაძლებლობები, საჯარო მოწვევები, ტენდერები, შესყიდვებისა და ხელშეკრულების გაფორმების მექანიზმები, გრანტები და მხარდაჭერის სხვა ფორმები, რომლებითაც ALE ცენტრებს შესაძლოა სარგებლობა შეეძლოთ.
- შეადგინოს გამოვლენილი შესაძლებლობების სტრუქტურირებული ჩამონათვალი პასუხისმგებელი უწყებისა და დაფინანსების/თანამშრომლობის ტიპის მიხედვით და ერთმანეთისგან გამიჯნოს ამჟამად ხელმისაწვდომი შესაძლებლობები, პერიოდულად გამოცხადებული კონკურსები და პოტენციური შესაძლებლობები, რომლებიც დამატებით გადამოწმებას საჭიროებს.

3.2. დასაშვებობის, მოთხოვნებისა და პროცედურების გადამოწმება

- თითოეული გამოვლენილი შესაძლებლობისთვის შეისწავლოს მოქმედი ოფიციალური წესები, კონკურსის დოკუმენტაცია, შესაბამისი კანონმდებლობა, სახელმძღვანელო დოკუმენტები და განაცხადის ფორმები.

- განსაზღვროს, შეუძლიათ თუ არა ALE ცენტრებს განაცხადის პირდაპირ წარდგენა, პარტნიორობის ან კონსორციუმის ფარგლებში მონაწილეობა, ან მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაცია. თუ მოქმედი წესებით ცენტრები ამ ეტაპზე არ აკმაყოფილებენ მონაწილეობის მოთხოვნებს, გამოავლინოს ის მოთხოვნები და პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებიც დასაშვებობის მოსაპოვებლად უნდა შესრულდეს.
- საჭიროებისამებრ, დაადგინოს მოთხოვნები სამართლებრივი სტატუსის, რეგისტრაციის, ლიცენზიების, ნებართვების, აკრედიტაციის, ხარისხის სტანდარტების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის, ინფრასტრუქტურის, ფინანსური ან თანადაფინანსების შესაძლებლობის, ანგარიშგებისა და შესაბამისობის სხვა ვალდებულებების შესახებ.
- დოკუმენტურად აღწეროს განაცხადის წარდგენის პროცესი ეტაპობრივად, მათ შორის საჭირო დოკუმენტები, წარდგენის არხი, შეფასებისა და შერჩევის პროცესი, ხელშეკრულების გაფორმების პირობები, განხორციელების ვალდებულებები და ანგარიშგების მოთხოვნები.
- შეძლებისდაგვარად გადაამოწმოს, რა სიხშირით ცხადდება კონკურსები, რა არის ტიპური ან დადასტურებული ვადები, მიმდინარე სტატუსი და საბოლოო ვადები, აგრეთვე მიუთითოს ოფიციალური წყაროები, რომელთა მეშვეობითაც ახალი კონკურსების მონიტორინგია შესაძლებელი.

3.3. შესაძლებლობების პრაქტიკული შესაბამისობის შეფასება ALE ცენტრებისთვის

- შეაფასოს თითოეული შესაძლებლობის შესაბამისობა ALE ცენტრებისთვის დამახასიათებელ მომსახურებებსა და შესაძლებლობებთან, მათ შორის ზრდასრულთა სწავლებასთან, პროფესიულ და დასაქმებისთვის საჭირო უნარებთან, სათემო განათლებასთან, ინკლუზიასა და სამოქალაქო განათლებასთან.
- გამოავლინოს მონაწილეობის ბარიერები და პრაქტიკული ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც ცენტრებს ამ ბარიერების დასაძლევად შეუძლიათ, მათ შორის საჭირო ინსტიტუციური სტანდარტები ან დოკუმენტაცია.
- შეიმუშაოს რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლიათ ALE ცენტრებს და, შესაბამის შემთხვევებში, მათ ქსელს შესაძლებლობებისთვის მომზადება და მათზე რეაგირება, მათ შორის პარტნიორობის შესაძლო ფორმებისა და შიდა მზაობის გასაძლიერებელი ღონისძიებების განსაზღვრა.
- შესაძლებლობები პრიორიტეტების მიხედვით დაალაგოს მათი შესაბამისობის, ხელმისაწვდომობის, საჭირო ძალისხმევის, დროისა და პოტენციური სარგებლის გათვალისწინებით; ამასთან, არ გააკეთოს დაუდასტურებელი განცხადებები დაფინანსების ხელმისაწვდომობის ან დასაშვებობის შესახებ.

3.4. მიგნებების გადამოწმება და საბოლოო ვერსიის მომზადება

- წარუდგინოს წინასწარი მიგნებები DVV International საქართველოსა და შესაბამისი ALE ცენტრების წარმომადგენლებს და შეაგროვოს მათი უკუკავშირი.
- უკუკავშირის საფუძველზე გადახედოს შესაძლებლობების რუკასა და გზამკვლევებს, შეასწოროს ფაქტობრივი ხარვეზები და მკაფიოდ მიუთითოს ის წესები ან კონკურსები, რომლებიც დამატებით დადასტურებას საჭიროებს.
- წარადგინოს რედაქტირებადი საწყისი ფაილები და საბოლოო, ერთიანი პაკეტი, რომელიც ქართულ ენაზე მომზადებული და ALE ცენტრებისთვის მარტივად გამოსაყენებელი იქნება.

4. მოსალოდნელი შედეგები და ჩასაბარებელი დოკუმენტები

შედეგი 1 – საწყისი დოკუმენტი და კვლევის მეთოდოლოგია (მაქსიმუმ 5 სამუშაო დღე): დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება კვლევის მეთოდოლოგია, შესასწავლი საჯარო დაწესებულებების, დაფინანსებისა და თანამშრომლობის მექანიზმების ჩამონათვალი, ინფორმაციის გადამოწმების მეთოდები, სამუშაო გეგმა და შესაძლებლობების პრაქტიკული გზამკვლევის ნიმუში

შედეგი 2 – ეროვნული დონის შესაძლებლობების რუკის სამუშაო ვერსია (მაქსიმუმ 15 სამუშაო დღე): გამოვლენილი შესაძლებლობების სტრუქტურირებული ჩამონათვალი, რომელშიც მითითებული იქნება პასუხისმგებელი უწყება, პროგრამა/მექანიზმი, მხარდაჭერის ტიპი, სამიზნე ბენეფიციარები, ALE

ცენტრების მონაწილეობის შესაძლებლობა, ძირითადი მოთხოვნები, განაცხადის წარდგენის პროცედურა, ვადები და კონკურსის გამოცხადების სიხშირე (თუ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გადამოწმებადია), ოფიციალური წყაროების ბმულები, ინფორმაციის გადამოწმების თარიღი და არსებული შეზღუდვები.

შედეგი 3 – კონკრეტული შესაძლებლობების პრაქტიკული გზამკვლევები (მაქსიმუმ 15 სამუშაო დღე): თითოეული გამოვლენილი შესაძლებლობისთვის მომზადებული პრაქტიკული გზამკვლევი, წინასწარ განსაზღვრული შაბლონის შესაბამისად.

შედეგი 4 – საბოლოო დოკუმენტაცია და მასალების გადაცემა (მაქსიმუმ 3 სამუშაო დღე): საბოლოო დოკუმენტი, რომელიც გააერთიანებს კვლევის ფარგლებში შესწავლილ ყველა პროგრამასა და შესაძლებლობას, ასევე თითოეული მათგანისთვის მომზადებულ პრაქტიკულ გზამკვლევს. დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მონაწილეობის კრიტერიუმების, განაცხადის წარდგენის პროცედურების, ძირითადი მოთხოვნების, ვადებისა და ALE ცენტრებისთვის საჭირო სხვა პრაქტიკული საკითხების შესახებ. ექსპერტმა უნდა უზრუნველყოს ყველა მასალის, მათ შორის რედაქტირებადი ფაილების, გამოყენებული წყაროებისა და დამხმარე დოკუმენტების გადაცემა.

პრეზენტაცია (მაქსიმუმ 2 სამუშაო დღე): საბოლოო დოკუმენტისა და კვლევის ძირითადი მიგნებების წარდგენა ALE ცენტრების დირექტორებისთვის გამართულ სამუშაო შეხვედრაზე. ექსპერტმა მონაწილეებს უნდა გააცნოს გამოვლენილი შესაძლებლობები, განუმარტოს განაცხადის წარდგენის პრაქტიკული პროცედურები და გაუწიოს კონსულტაცია ხელმისაწვდომ პროგრამებსა და მხარდაჭერის მექანიზმებზე წვდომისა და განაცხადების მომზადების საკითხებში.

თითოეული შედეგისთვის მითითებული სამუშაო დღეების სავარაუდო რაოდენობა ასახავს DVV International-ის შეფასებას იმ ძალისხმევის შესახებ, რომელიც დავალების შესასრულებლად გონივრულად არის საჭირო, და წარმოადგენს საორიენტაციო საფუძველს ფინანსური წინადადებების მომზადებისთვის.

განმცხადებლებს შეუძლიათ, საკუთარი მეთოდოლოგიისა და მიდგომის დასაბუთების შემთხვევაში, შემოგვთავაზონ სამუშაო დღეების ნაკლები რაოდენობა, იმ პირობით, რომ სრულად იქნება შესრულებული ყველა მოთხოვნილი შედეგი და დაცული ხარისხის სტანდარტები. მითითებული დღეების რაოდენობა არ წარმოადგენს სამუშაოს გარანტირებულ მოცულობას ან სრული რაოდენობის დღეების ანაზღაურების უფლებას. სამუშაო დღეების საბოლოო განაწილება და შესაბამისი ხელშეკრულების ღირებულება შეჩერებულ კონტრაქტორთან შეთანხმდება ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

5. თითოეული პრაქტიკული გზამკვლევის შინაარსი

თითოეული გზამკვლევი მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- შესაძლებლობის/პროგრამის დასახელებასა და განმახორციელებელ უწყებას, ასევე ოფიციალურ საკონტაქტო ინფორმაციას, თუ ხელმისაწვდომია.
- პროგრამის მიზანსა და მხარდაჭერის ფორმას (მაგალითად, გრანტი, მომსახურების ხელშეკრულება, მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაცია, ტრენინგების ჩატარება ან სხვა მექანიზმი).
- ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვის შეუძლია განაცხადის წარდგენა და შეუძლიათ თუ არა ALE ცენტრებს მონაწილეობა პირდაპირ, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ან პარტნიორობის გზით. ასევე, იმ შემთხვევებში, როდესაც ALE ცენტრების მონაწილეობა მოქმედი წესებით არ არის გათვალისწინებული, შესაბამისი დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული.
- დასაშვები საქმიანობების, სამიზნე ჯგუფების, დაფინანსებადი ხარჯებისა და შესაძლო შეზღუდვების აღწერას.
- აუცილებელ სამართლებრივ სტატუსს, რეგისტრაციის მოთხოვნებს, სტანდარტებს, ლიცენზიებს, ნებართვებს, აკრედიტაციას, თანამშრომელთა კვალიფიკაციას, ინფრასტრუქტურასა და სხვა წინაპირობებს.
- განაცხადისთვის საჭირო დოკუმენტებსა და შესაბამის შაბლონებს ან ფორმებს.

- განაცხადის წარდგენის ან პროგრამაში მონაწილეობის ეტაპობრივ პროცედურას, მათ შორის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად და რა ფორმით უნდა წარადგინონ განაცხადი.
- კონკურსის გამოცხადების სიხშირეს ან პერიოდს, ცნობილ საბოლოო ვადებს და ინფორმაციას მომავალი კონკურსების მონიტორინგის შესაძლებლობების შესახებ. დაუდასტურებელი ინფორმაცია მკაფიოდ უნდა იყოს მონიშნული.
- შერჩევის კრიტერიუმებს, შეფასების პროცესს, თანადაფინანსების მოთხოვნებსა და დაფინანსების ან მომსახურების სავარაუდო თუ ოფიციალურად გამოქვეყნებულ მოცულობას, თუ ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომია.
- ოფიციალური წყაროების ბმულებსა და შესწავლილ დოკუმენტებს, აგრეთვე ბოლო გადამოწმების თარიღს.

6. მეთოდოლოგიური მოთხოვნები

ექსპერტმა უნდა გამოიყენოს სამაგიდო კვლევა და, საჭიროებისამებრ, შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან ინფორმაციის პირდაპირი გადამოწმება. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პირველად წყაროებს, მათ შორის ოფიციალურ კანონმდებლობას, სააგენტოების ვებგვერდებს, კონკურსების განცხადებებს, პროგრამების რეგულაციებს, სახელმძღვანელო დოკუმენტებსა და განაცხადის ფორმებს. მეორადი წყაროები შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი მიმართულებების გამოსავლენად, თუმცა დასაშვებობისა და მოთხოვნების შესახებ დასკვნების ერთადერთ საფუძველს არ უნდა წარმოადგენდეს.

DVV International საქართველო ექსპერტს მიაწვდის 15 ALE ცენტრის შესახებ საბაზისო დოკუმენტაციასა და ადგილობრივ დონეზე არსებული მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის:

- თითოეული ALE ცენტრის საქმიანობის, ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომი რესურსების აღწერის ინდივიდუალურ დოკუმენტებს, აგრეთვე ინფორმაციას შესაბამის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული პროგრამებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ.
- გზამკვლევს: „თანამშრომლობის მექანიზმები საჯარო სექტორსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს შორის ადგილობრივ დონეზე ზრდასრულთა, პროფესიული და არაფორმალური განათლების სფეროებში“.

აღნიშნული მასალები ექსპერტს დაეხმარება ცენტრების საქმიანობის, შესაძლებლობებისა და მათ მუნიციპალიტეტებში ხელმისაწვდომი ადგილობრივი პროგრამების გაცნობაში. ისინი დავალების ფარგლებში გამოყენებული იქნება, როგორც საბაზისო საცნობარო მასალები, და ხელს შეუწყობს ცენტრების საჭიროებებისა და მხარდაჭერის პოტენციური მიმართულებების შეფასებას.

7. ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება საჯარო მმართველობის, სამართლის, სოციალურ მეცნიერებათა, განათლების, ეკონომიკის, საჯარო პოლიტიკის, პროექტების მართვის ან სხვა შესაბამისი მიმართულებით.
- პოლიტიკისა და პროგრამების კვლევის, ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასების, საჯარო დაფინანსების მექანიზმების, საგრანტო პროგრამებისა და საჯარო პროგრამების მიმართულებით მუშაობის დადასტურებული გამოცდილება.
- საჯარო კონკურსების, მონაწილეობის კრიტერიუმების, განაცხადის წარდგენის პროცედურების, სამართლებრივი რეგულაციებისა და პროგრამების სახელმძღვანელო დოკუმენტების შესწავლის გამოცდილება.
- საქართველოს საჯარო დაწესებულებების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ზრდასრულთა განათლების სფეროში მოქმედი ორგანიზაციების საქმიანობისა და მათი ფუნქციონირების გარემოს კარგი ცოდნა.
- რთული სამართლებრივი, მარეგულირებელი და ადმინისტრაციული ინფორმაციის მარტივ, გასაგებ და პრაქტიკულ, ეტაპობრივ ინსტრუქციებად გარდაქმნის უნარი.

- განვითარებული ანალიტიკური, ინფორმაციის მოძიებისა და გადამოწმების, წერითი კომუნიკაციისა და ორგანიზაციული უნარები.
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა, როგორც წერითი, ისე ზეპირი ფორმით.
- ზრდასრულთა განათლების, თემზე დაფუძნებულ ორგანიზაციებთან, დასაქმებისა და უნარების განვითარების პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად.

8. სამუშაოს ხანგრძლივობა და დასრულების ვადა

სამუშაოს დაწყება დაგეგმილია 2026 წლის 30 ნოემბერს, ხოლო მისი დასრულების საბოლოო ვადაა 2027 წლის 31 იანვარი.

ექსპერტმა ამ პერიოდის განმავლობაში უნდა განახორციელოს ყველა საქმიანობა და წარადგინოს წინამდებარე ტექნიკურ დავალებაში (ToR) მითითებული ყველა შედეგი. თითოეული შედეგის მომზადების დეტალური სამუშაო გეგმა და ვადები DVV International საქართველოსთან შეთანხმდება დავალების დაწყებისას.

9. განაცხადის წარდგენის მოთხოვნები

დაინტერესებულ ექსპერტებს ვიწვევთ, წარმოადგინონ ტექნიკური და ფინანსური წინადადებები ქართულ ან ინგლისურ ენებზე.

A. ტექნიკური წინადადება

- მოკლე კონცეფცია (მაქსიმუმ 5 გვერდი), რომელშიც აღწერილი იქნება დავალების გაგება, შემოთავაზებული კვლევის მეთოდოლოგია, ინფორმაციის მოძიებისა და გადამოწმების წყაროები და მიდგომები, შესასწავლი მიმართულებები და შესაძლებლობები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სამუშაო გეგმა.
- CV (მაქსიმუმ 4 გვერდი), რომელიც წარმოაჩენს შესაბამის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას.
- მსგავსი ტიპის მინიმუმ ორი დავალების მაგალითი, მოკლე აღწერით, განმცხადებლის როლისა და მიღწეული შედეგების მითითებით. შესაძლებლობისა და შესაბამისობის შემთხვევაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ბმულები ან ნიმუშები.

B. ფინანსური წინადადება

ფინანსური წინადადება უნდა მომზადდეს ქართულ ლარში (GEL). მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული პროფესიული მომსახურების მთლიანი ანაზღაურება (დარიცხული თანხა) და მისი განაწილება თითოეული შედეგის მიხედვით, მათ შორის ერთი სამუშაო დღის დარიცხული ტარიფი და სამუშაო დღეების სავარაუდო რაოდენობა. ყველა დაშვება, მოქმედი გადასახადი ან ხარჯის სხვა კომპონენტი მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული.

კონტრაქტორს შეუძლია მოითხოვოს შუალედური გადახდა პირველი და მეორე შედეგების დასრულების შემდეგ, ხოლო საბოლოო გადახდა განხორციელდება დარჩენილი შედეგებისა და მომსახურების სათანადოდ შესრულებისა და მიღების შემდეგ.

10. შეფასების კრიტერიუმები

- **შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება – 30%** — განმცხადებლის განათლების, საჯარო შესაძლებლობებისა და პროგრამების რუკის შედგენის გამოცდილებისა და მსგავსი დავალებების შესაბამისობა და ხარისხი.
- **ტექნიკური წინადადება – 30%** — შემოთავაზებული მეთოდოლოგიის, შესასწავლი მიმართულებებისა და ინფორმაციის გადამოწმების მიდგომის სიცხადე და განხორციელებადობა; პრაქტიკული გზამკვლევების ხარისხი და გამოყენებადობა; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სამუშაო გეგმის რეალისტურობა.

- **ფინანსური წინადადება – 40% —** ხარჯთეფექტიანობა, გამჭვირვალობა და შემოთავაზებული ანაზღაურების შესაბამისობა დავალებებსა და სამუშაოს სავარაუდო მოცულობასთან.

11. განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა და წესი

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2026 წლის 15 ნოემბერი, 23:59 საათი.

განაცხადები უნდა გამოიგზავნოს ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: georgia@dvv-international.de

ელექტრონული წერილის სათაურში მკაფიოდ უნდა მიეთითოს: „ექსპერტი ALE ცენტრებისთვის ეროვნული დონის შესაძლებლობების შესასწავლად“.

განაცხადი უნდა წარადგინოთ ქართულ ენაზე და უნდა მოიცავდეს წინამდებარე ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრულ ტექნიკურ და ფინანსურ წინადადებებს.

დამატებითი განმარტებების მოთხოვნა შესაძლებელია იმავე ელექტრონულ მისამართზე, განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადამდე არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა. განმარტების მოთხოვნებზე პასუხები გაიგზავნება ელექტრონული ფოსტით.

დაგვიანებით წარდგენილი ან განაცხადის მოთხოვნებთან შეუსაბამო განაცხადები არ განიხილება.